



დებიორნარი

№ 37

გამოდის კვირის საფუძველზე

18 მაისი 1944 წ.

გეოგრაფიკული ბრძოლა

სამხრეთ-იტალიის ფრონტზე

იტალიაში გერმანული ჯარების ბრძოლები

გერმანული ავიაციის დიდ წარმატებით თავს დაესხა პორტსმუტი

ფიურერის მთავარი ბანაკი.

16 მაისი.

გერმანიის უმაღლესი სარდლობა იუწყება:

აღმოსავლეთ ფრონტიდან იტალიის მხრიდან მხოლოდ კარბონების მხარეში და ქვედა დნესტრის რაიონის ადგილობრივი მნიშვნელობის სამხედრო მოქმედების შესახებ.

სამხედრო მოქმედებათა დაწყებიდან საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებული იქნა საბჭოთა 2.000 თვითმფრინავი, აქედან 300 ჩამოგდებულია მხოლოდ მე-275 და მე-279 დივიზიების მიერ.

სამხრეთ იტალიაში მტერს ბრძოლაში შემოყავს ახალი ქვეითა და ტანკთა ძალები, რომლის საშუალებით მას კასინოდან სამხრეთით მდებარე უბანში მოაქვს ჩვენს პოზიციებზე ახალი იერიშები. ცვალებად შედეგებით წარმოებულ გააფთრებულ ბრძოლების შემდეგ, რამოდენიმე გამარჯბული მალღობები ჩვენს მიერ დატოვებული იქმნენ. დანარჩენ უბნებში ადგილობრივი გარღვევები შეჩერებულია ან იქედან მტერი სავსებით უკუგდებულია. 15 მაისის საღამოს ჩვენმა ავიაციამ დიდ წარმატებით დაბომბა კასინოს რაიონი.

მტრის ცალკეულ თვითმფრინავთა შენაერთებმა გასულ ღამეს კელნის და მანგეიმის რაიონებზე, აგრეთვე კილის ნავთსადგურზე თავდასხმების დროს მათ დაჰკარგეს 4 თვითმფრინავი.

16 მაისის დილით გერმანული ავიაციის ძლიერ შენაერთებმა დიდი წარმატებით დაბომბეს ნავთსადგური და ქალაქი პორტსმუტი.

გერმანიის არმია ყველა ფრონტებზე მზადაა მტრის დასახვედრად

შეკითხვაზე, ისახავს თუ არა მიზნად, კორსიკის პაეროდრომთა გერმანულ ავიაციის მიერ განზირებული დაბომბვა, ცენტრალურ იტალიაში მოკავშირეთა შესაძლებელ გადმოსხმისათვის ხელის შეშლას, — ბერლინის ერთმა კომპეტენტურმა სამხედრო პირმა შემდეგი განაცხადა: „ჩვენ ყველგან მზად ვართ. შემოსევას ჩვენთვის არ ექნება მოულოდნელობის ხასიათი. ყოველგვარი საჭირო ზომები მიღებულია არა მარტო დასავლეთით, არამედ მეზობლის ყველა ნაპირებზე“.

დენერალ კლარკის საიდუმლო მგზავრობა.

სტოკოლმიდან იტალიის მიმართ, რომ სამხრეთ იტალიაში მდგომ ამერიკელთა მე-5-ე არმიის მთავარ სარდალი ლენერალი კლარკი, რამოდენიმე ხნის წინ, მეტად საიდუმლოებით მოცულ პირობებში გაემგზავრა ჩრდილო ამერიკაში, სადაც მან ინახულა პრეზიდენტი რუზველტი და ჩრდილოეთ შტატების შეიარაღებულ ძალთა გენერალურ შტაბის უმფროსი, ლენერალი მარშალი.

„გერმანიის მიმართული გზა იტალიით არ მიდის“

საბჭოთა გაზეთ „წითელ ვარსკვლავს“ სამხედრო მიმომხილველი იტალიაში წარმოებულ სამხედრო ოპერაციებზე შემდეგს სწერს: „ინგლის - ამერიკულ ასრდლობას სამხრეთ იტალიაში, როგორც სჩანს, მხოლოდ ერთად ერთი მიზანი აქვს: რაც შეიძლება ჯარის და სამხედრო მასალის ეკონომია გასწიოს, აქ, საბჭოთა კავშირში, ჩვენ დარწმუნებული ვართ იმაში, რომ ინგლის - ამერიკელებს მართლაც, რომ სურდეთ, გასწიონ ამ შეტევასთან დაკავშირებით ყოველგვარი ხიფათი, ისინი დიდი ხანია შესძლებდნენ მდგომარეობის თავიანთ სასარგებლოდ შეცვლას“.

გადააფუძვებ ბრძოლას ადგილი ექნება ლამაზის ნაპირებზე

გერმანულ პრესაში პოლკოვნიკი ფონ ოლბერგი სწერს, რომ შემოსევა უკვე დაწყებულია შეიძლება ჩაითვალოს. ინგლის - ამერიკული შეუწყვეტილი თავდასხმები წარმოდგენენ შემოსევის სამზადისის ნაწილს და ის, უთუოდ, ამის გარდა მიზნად ისახავს, ჩვენი ყურადღების მოპყრობით, დაფაროს გადმოსხმისათვის შერჩეული ადგილი. არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ გადმოსხმა, თითქოს, უნდა მოხდეს ისე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა დივში, ერთი ან ორი დღის განმავლობაში. შემოსევა დიდი მასშტაბის სამხედრო ოპერაციაა, რომელიც უკვე დაიწყო და რაც პირველ დღეებში თვალსაჩინო სიდიდით არ სჩანს. მტერმა შეიძლება გერმანულ ფრონტის უკან გადმოსხმას პარაშუტელთა მთელი დივიზიები, და სხვაგანაც, მაგრამ ეს ოპერაციები უნდა დამთავრდეს ლამაზის ნაპირებზე.

შვეიცარულ გაზეთის სენსაციური გამოცხადება

შვეიცარული გაზეთი „ბერნერ ტაგეზი“ აქვეყნებს მეტად საინტერესო და მოულოდნელ ცნობებს ინგლის - ესპანის ეხლახან ხელმოწერილ შეთანხმების შესახებ. როგორც ვიცით, ინგლისი და ამერიკა ისპანიაზე უკანასკნელ თვეებში აწარმოებდნენ გაუგონარ ეკონომიურ და დიპლომატიურ წოლას, რომ ის იძულებული გაეხადათ შეეწყვიტა ვოლფრამის მიწოდება გერმანიისათვის. შვეიცარული გაზეთის წერილი ნათელს ჰყოფს ინგ.-ამერიკულ კაპიტალიზმის მორალს ამ საკითხის გადაწყვეტის დროს. შვეიცარული გაზეთი გადაჭრით ამტკიცებს, რომ ესპანის ვოლფრამის მთელი მადნეულობა და მისი გერმანიაში გაზიდვის საქმე სავსებით ეკუთვნის საერთაშორისო საზოგადოება „პენსარეის“, რომლის აქციათა დიდი უმრავლესობა კი ეკუთვნის ინგლისელებს, სახელდობრ როტშილდის ბანკს. „ლონდონის მაღალმა ფინანსიურმა წრეებმა, სწერს „ბერნერ ტაგეზი“, ესპანიიდან გერმანელებისათვის მიყიდულ ვოლფრამზე დიდი მოგება ნახეს, ისე, რომ მათ არ უკითხავთ ეს მადანი ხმარდებოდა თუ არა ინგლისის და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ. საინტერესოა ის გარემოება, რომ ამ გაზიდვისათვის ხელის შეშლის თაოსნობა ეკუთვნის ამერიკელებს და ინგლისის საგარეო სამინისტრო ამ საქმეში მეტად პასიურ როლს თამაშობდა, რადგან სრულიად არ იყო იმის მომხრე, რომ ესპანიიდან გერმანიაში მადნის გაზიდვის შეწყვეტით ინგლისის ფინანსიურ წრეებს დაჰკარგოდათ შენოსავლის დიდი წყარო“.

სოციალური საკითხები

ს ა მ შ ო ზ ლ ო

რა არის სამშობლო? მიწა - წყალი, სადაც აღამიანი იბადება, იზრდება, იხილავს პირველად მზის სხივებს, იგრძნობს მის არსებობას, განიცდის ჭირსა და ლხინს, სევდას და ნეტარებას. მიწა - წყალი, სადაც მის მსგავსად იბადებოდნენ და იზრდებოდნენ წინაპართა მრავალი თაობანი. მიწა - წყალი სადაც აღსრულებას ეძლეოდნენ ისინი და ყოველ მომდევნო თაობაში სტოვებდნენ ხსენას, პატივისცემას და ხშირად გაღმერთების გრძობას.

მიწა - წყალი, სადაც სცხოვრობდნენ, იღვწოდნენ, ოფლს ღვრიდნენ მის გაზრდისა და აღორძინებისათვის, გაძლიერებისა და გააქველურებისათვის; სისხლს ღვრიდნენ შეუღრეკლად მტერთაგან მის დასაცავად, რათა მომავალ თაობათათვის ეს გადაეცათ შეუზღალავი. შეუზღილწავი, რათა ამ ადგილას უკვდავ ეყოთ თავისი მოდგმის, თავისი თესლის მარად ნაყოფიერება, მარად არსებობა, შეექმნათ შთამომავლობის უკვდავება. მრავალ ათასეულ წელთა განმავლობაში ერთი სისხლის ერთი კულტურის, ერთი რწმენის და ერთი საერთო განცდის მატარებელ მრავალ თაობათა მიერ უანგაროდ შექმნილი ოჯახი—მიწა - წყალი ქცევა საგნად სიყვარულის. ეს სიყვარული ყოველ მომდევნო თაობაში მტკიცდება. პიროვნება და მისი კერძო მიზნები იზრდებიან ამ დიდი, საერთო ღირებულების წინაშე. ინდივიდი, მთელი თაობაც, იქცევა უბრალო მსხვერპლად, რომლის საშუალებითაც წარსული უნდა გადაეცეს მომავალს. თაობა არის წარმავალი, სამშობლო მარადიული. თაობა ეწირება ქვეყნის უკვდავებას

ყოველი თაობის უანგარობა თავდება სამშობლოს დიდების, მისი ძლიერების, ამგვარი შეგნების ნიადაგზედ ნელნელა იზრდება და საღვთოდება სამშობლოსადმი სიყვარული. ეს გრძობა მაღლა სდგას ყოველგვარ პიროვნულ ინტერესის მატარებელ გრძობათაგან. ასეთი სიყვარული ამა-

ღვრულია დროის და სივრცის გარეშე დაუსრულებელ და განუსაზღვრელ ღირებულებამდე. ღირებულება, რომელიც ხშირად პიროვნების კერძო ინტერესებს ეწინააღმდეგება, მაგრამ ეს მაინც იცავს მას, როგორც სჯულს, როგორც წმინდათა წმიდას.

სამშობლოს იდეა არის უმაღლესი ყველა იდეათა შორის, რომელიც აღამიანს შეიძლება ჰქონდეს ამ ქვეყნად. რათა ის არის ბუნების მიერ დაკანონებული ფაქტი. ის არის ღვთა-

ებრივი დასაბამის. ის არის დადასტურებული თვით კოსმიური მოწყობილობის, მაღალი უნივერსალური ორგანიზაციის, ადამიანისათვის შეუცნობელი უმაღლესი სიბრძნის მიერ. და ეს განგების მიერ ადამიანისადმი ნაბოძებ ვალდებულება არის გარდაუვალი. ამის გარეშე შეუძლებელია ცხოვრების წარმართვა. ადამიანები განგების ამ საერთო კანონიერებაში დაავალდებულია თავიანთი სამშობლო ხატად გაიხადონ და მათში მისი თავყვანებისადმი შექმნილმა წმინდა და უანგრო გრძობამ შვა სამშობლოს სიყვარული, პატრიოტიზმი.

ალ. მანველიშვილი

ნაწყვეტი დაუბეჭდავ რომანიდან „მსხვერპლი“ თავი XVII

რამოდენიმე დღის შემდეგ პეტრე ნორჩაძეს, ისევ მოსწყურდა სარდაფი ენახა. უკვე დაღამებული იყო. მუშური ტანის ამოსით მოკაზმული ქუჩაში გამოვიდა.

ის კამარა სადღესასწაულოდ მორთულიყო. მხიარული ვარსკვლავები მაღლიდან გადმოჰყურებდნენ გარინდებულ ქვეყანას, დღის ჭაპანით მოქანცული ღრმა ძილში რომ შეცურებულყო. ქალაქი არავითარ მონაწილეობას არ იღებდა ბუნების მხიარულებაში, სიბნელეში ჩაძირულიყო, თითქოს უჩინარ დემონის კლანჭები ჩაფრენია მის სულს და სუნთქვის საშვალეებს არ აძლევსო. გარდა მთავარ ქუჩისა, არსად არ სჩანდა სინათლის შუქი. ყოველ ასი - ფეხის ნაბიჯზე ჯარის კაცის აჩრდილი, თოფით

ხელში, ძაბრიანი ქუდით მისჩერებოდა მისთვის უცნობ ჩაბნელებულ სახლებს. მტკვარს თითქოს ენა პირში ჩაეგდო, ჩვეულებრივი დენა შეეწყვიტა და განაზებულიყო. ჯარის კაცის მწყრივი ციხის კარებამდე მიდიოდა და იქ ათეულ საბარგო მანქანას გარშემორტყმოდა. ციხის ირგვლივ დარაზმული ჯარის გუნდები ციხის კედლებს შესჩერებოდა. ციხიდან ხმაური ისმოდა. ვიღაც რუსულ ენაზე ყვიროდა, იმუქრებოდა. ასე გაგრძელდა კარგა ხანს და შემდეგ მიწყდა.

— რა მოხდა... რამ გამოსცვალა ქალაქი? შეეკითხა თავის თავს პეტრე და ჩაფიქრდა. მაშინ მოაგონდა, რომ იმ ღამეს მეტეხის ციხიდან ტყვეები რუსეთში მიჰყავდათ. თვითონაც უნდა გამოცხადებულ-

იყო სამმართველოში, რადგან ყველა თანამშრომლები ფეხზე იდგნენ და ბრძანებას ასრულებდნენ.

პეტრე უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა, მაგრამ უკვე გვიან იყო. არჩია ციხისკენ წასვლა. ქუჩაში გავლაც არ იყო ადვილი. ხშირად სახლებს ეფარებოდა, როგორც იყო გზა გაიკაფა. ციხის ახლო ათიოდედდა - კაცს თავი მოეყარა და ჩუმის ხმით ერთი მეორეში მუსაიფობდნენ. მათ შეუერთდა პეტრეც, ცოტა ხნის შემდეგ ციხის ფანჯარას ვიღაცა მოადგა და მქექარე ხმით ქალაქს გადმოსძახა. ის ეთხოვებოდა დედ - მამას, საკუთარ ქვეყანას, დედა — ქალაქს, ყველას პატიებას სთხოვდა და იმედს გამოსთქვამდა, რომ მათ მალე იხილავდა. უხმობდა დარჩენილ ძმებს გაეგრძელებიათ მისკან დატოვებული საქმე. ფანჯარას მდგომი ლანდი უცებ მოსუდა, რასაც საშინელი ყვირილი და აურზაური მოჰყვა და ისევ ყველაფერი მიყუჩდა... პატრეს გვერდით ქალებს ტირილი წასკდათ.

— ურჯულოები! ჩაილაპარაკა ერთმა.

— სად მიჰყავთ ჩვენი შვილები, სად, რა დაუშავებიათ?! თითოეულ მათგანს ყავს დედა, რომელიც ერთს წუთსაც ვერ მოისვენებს...

პეტრე გარინდებული, ყურს უგდებდა ლაპარაკს, როცა ყველაფერი მიწყნარდა, ყველანი წავიდ - წამოვიდნენ, პეტრემ სხვებსაც პირი აარიდა და სიჩქარით მშობრდა.

გორაკების იქიდან ღრუბლის შავი ნაგლეჯი შეუმჩნევლად აეტუზა ცის კამარას, ნელნელა მოეპარა თეთრ მთვარეს, უკანასკნელიც შიგ ფირცხლავ დაიმალა, ვითომდაც შერცხვა ნავთლულის სადგურისკენ მიმავალ მანქანასო...

პეტრე გამობრუნდა სახლისკენ, წამ და უწყუმ უკან იხედებოდა, ყურში ვიღაც, თითქოს მაგრად ჩასძახოდა: „შენც ხომ წილი მიგიძღვის ამ საღამოს მომხდარ ამბავშიო“. შეშინდა, შექრთა... თითოეული ფეხის ხმა, ისე ესმოდა ყურში, თითქოს მას ვინმე მოსდევდა, რომ ჩაეწიხლა და ჩაექოლვა, აგერ არის ვინმე სწვდეს და დაახრი-



ფრანგი უზრუნველყოფის ქართ. ლეგიონერებთან

(გაგრძელება იხ. მე-4-ე გვ.)

დასასრული *;

თედო დაბრუნდა, საქონელი დააბინავა, ხელ-პირი დააბანა და ჩამოჯდა. დედამ სამხარი მოუტანა და გვერდით მოუჯდა.

თედომ რომ გაათავა, დედა მხოლოდ მაშინ გადაეხვია თავის შვილს, კისერზე ჩამოეკონწილა და აღელვებულმა დაუწყაო კოცნა.

— რა იყო, დედა, რა ამბავია, ხომ არავინ გიწკენია, მართო რომ იყავ?

— მაწყენია კი არა, შვილო, სხარულმა ამიტაცა. მაკალა იყო ამ დილას ჩემთან, კი ხანს დარჩა. შენთვის კარგი საცოლო უშოვნია და იმის თაობაზე გვქონდა ლაპარაკი.

— რას ამბობ, დედა, ხუმრობ თუ მართალს წეუბნევი?

— როგორ თუ ვხუმრობ? ვხუმრობ კი არა მოუთმენლად მოგელოდრ, ისე ვარ გაჩარებული. კესას შენც ხომ კარგად იცნობ, აი იმაზე გვქონდა ბასი. თვალ - ტანად საუცხოო გოგოა, ქცევა და ხასიათიც ჩინებული აქვს. ახლა შენ იცი, შვილო, როგორც გინდა ისე გადაწყვიტე. ლარიბია, მაგრამ სხვას მაინც ევა სჯობია. მე თუ გკითხავ, ნეტავი ერთი შენ დაბინავებული გნახო, მე ღმერთს სხვას არასა ვთხოვ. აბა შეხედე, შვილო, შენი ტოლები ყველანი დაბინავდნენ.

კარგა ხანი ლაპარაკეს დედა-შვილმა. არც ღამე სძინებიათ მოსვენებით. თედო სულ ბორავდა.

მეორე დღეს დილით ადრე თედო უკვე მაკალასთან იყო.

მაკალა დუქნის ზედა სართულში მარტო იყო და ელოდა.

— დილა მშვიდობისა, უთხრა ლოყებ შეწითლებულმა თედომ.

— გამარჯობა! ვინ დაგიბარა რომ მოხვედი, რა ამბავია! — უთხრა სიცილით მაკალამ, — მოგედო ცეცხლი, ჰა? ანთე? კა, არ დაიწვა და! პაუარი არ გამიჩინო ამ დუქანში.

მაკალა ხუმრობის გუნებაზე იყო, „დაგივიანდა. ერთი ფეხით ადრე ვერ მოხვედი? ახლა კი არ ვიცი, ის შენი გვრიტია

თუ კაჭკაჭი ვისთან მიფრენდება“.

— უშენოთ მაინც არაფერი გაკეთდება, ალბათ შენ მიაფრენდი.

— აბა, კარგი, რახან არა გჯერა, ახლა სურთიოხნათ ვილაპარაკოთ. გუშინ დედაშენმა უშენოთ პასუხი ვერ მამცა. აბა ახლა შენ მითხარი რასა ფიქრობ? გადაწყვიტე რამე? იმ გოგოს შენ ჩემზე უკეთ იცნოფ. ტყუილათ ნუ მაღავ, ვიცი კი ეშმაკი ხარ, დაადექ რამე გზასა? მე არც ავს გეტყვი არც კარგსა. გინდა შაირთე, არ გინდა, ეგეც შენი ნებაა. მაგრამ მართალი მაინც უნდა ვითხრა, მაგისთანა საქონელს ადვილად ვერ იშოვნი. დედაშენსაც უთხარი და ახლა შენც იმას გეტყვი, იმ გოგოსთან შენ ბედნიერი იქნები. მაგისთანა საოჯახო ქალსა შენ სხვას ვერა ნახავ. მე ასე მგონია და შენ შენი იცი. გინდა თუ არა?

— გინდა თუ არაო? მინდა მაგრამ...

— მაგარი?! მაგრამ რა? მითამ ლარიბი რომაა?

— არა, მე სულ სხვა მაფიქრიანებს; უნდა მართალი მითხრა, მაკალო, შენ ხომ ყველაფერი იცი. იმ გოგოს სხვა ხომ არავინ უყვარს? ნუ ჩადგები ნუ ჩემს ცოდოში და ნურც იმის ცოდოში. იცოდე კი, თუ ვინმე უყვარს, ჩემი საქმე გათავებულაია.

— შე ყურუმსალო, ერთი საათია აქა ზიხარ და ყბედობ. ახლა მოგაგონდა? აი მანდედან უნდა დაგეწყო თუ ასე გაწუხებდა.

— აი მეც უფრო მაგიტომ მოგობოდი შენთან რომ ეგ გამეგო, მაგრამ ვერ მოვახერხე, თქვა თედომ.

— ჰა, ბიჭო, ნუ გეშინია, სხვა არავინ უყვარს. არხაინათ იყავ, ნუ გეშინია, ნუ? გაიგე?

— ჰო, მაკალო, როგორ გამაცოცხლე, თორე ეგ ეჭვი მკლავდა.

— ჰაი ტუტუც, ტუტუც! ღიმილით უთხრა მაკალამ და თავი გააქან - გამოაქანა, მაგის ნუ გეშინია, ნუ! თუ იმ გოგოს გულში უზის ვინმე, შენს გარდა სხვა არავინაა.

— უხ, კიდევ ამოიოხრა თედომ, ახლა დავიბადე!

— რო დაიბადე, მერე ვისი ძუძუ უნდა წოვო? სიცილით და მხიარულად უთხრა მაკალამ. იცი? ისეთი ძუძუები აქ იმ გოგოს რომ ზედ ასკდება, ჰა!

თედომ სირცხვილით თავი დაღუნა.

— ახლა ეს მითხარი, ქორწილს როდის აპირებ?

— აბა, რა ვიცი. შენ რას მეტყვი?

— მე რა უნდა ვითხრა? იმ გოგოს ტანსა და ფეხთ ჩაცმა უნდა. ხომ იცი არაფერი გააჩინია. აი ესეა! და მაკალამ მარცხენა ხელის სალოკი თითი თედოს ცხვირ წინ დაუტრიალა. თუ ჩააცმევ რასმე, თორე ჩახლით ვერაფერს ჩახლი, — გაიცინა მაკალამ.

— მოდი, რაც ამდენი ამაგი დამდე. ეს საქმე ბოლომდე შენვე მიიყვანე. დედაჩემს, ხომ იცი, მაგისი უნარი არა აქვს; ფულს რაც საჭირო იქნება და რასაც მეტყვი, ახლავე შენ მოგცემ, ჩადი გორში და ყველაფერი უყიდე კესასა და დედასაც უყიდე. შენი თავიც არ დაივიწყო. ერთი კარგი ლამაზი ბაღდადი იყიდე რომ ჩემეულათა გქონდეს. დანარჩენი შენ იცი რაც ქალებსა აქირდებათ. შენ შრომას და დავაღცხას კიდევ ცალკე გადაგიხდი. ასე მაშ, ჰა?

— კარგი ნათქომია, მაგრამ ერთიც ახლა მე მათქმინე. იცი რა? აღდგომა კარზე მამდგარა.

— ერთი კარგი სადილი გა-

მართე, შენი პატარძალი და სასიდედრო დაჰპატიჟე, ჩემი მოგვეკრი, — ერთი კოფე ვინმე კიდევ, შენი მეჯვარე. თუ გინდა თქვენ ტერტერასაც დაუძახე, სუფრას ლაზათს მისცემს, გაგვაპატიოსნებს. ძაან კარგი ხუმრობა იცის და ღმერთის გარდა, სხვას ყველას ასამოგწებს. ჩემი დიდი დოსტია. შენ უყურე რეებს მეტყვის!.. ეს ნიშნობა იქნება, რალა.

— კარგი, ძალიან კარგი მაგრამ ბეკლებიც უნდა იქ იყოდო, არა? მინდა შენი დახმარებით ერთი ლაზათიანი ქორწილი გადავიხადო.

— ჰა, აინთე?! ახლა კი ნუ გაგიჟდები, ბიჭო! ის გოგო შენ არსად გაგაქცევა. მე დღესვე წავალ იქ და ყველაფერს გავიგებ. დედაშენი რა გუნებაზეა, მხიარულათაა? იმასაც ვნახამ.

— ამისთანა ბედნიერი აღდგომა მე არ გამთენებია. სულ კი, შენი მადლობელი უნდა ვიყო, მაკალო.


— ვა, აღდგომა მე ხომ არ დამიწესებია, ბიჭო! კარგი გეყოფა რაც ილაქლაქე, ახლა წადი დედა შენთან, ვინ იცის როგორ გელის!

თედოს აღარ დაუგვიანებია, დაიწერა ჯვარი და თავის ლამაზი კესა თავის დედას მიჰგვარა.

ა. დ—ლი.

„ლეგიონერი“-ს რედაქციის მისამართი:

Georgische Betreuungsstelle
16, rue Eugene Delacroix,
Paris (16).



ქართველი ლეგიონერები მანევრებზე

*) გაგრძ. იხ. „ლეგიონერი“-ს № 29 — 31.



გერმანიის უპაღმოსაგონო სარდლობის ცნობები

გერმანული ავიაციის მასიური თავდასხმა ბრისტოლზე

მარტო კასინოს უბანში მტარმა 50 ტანკი დაჰკარბა

ფიურერის მთავარი ბანაკი.
15 მაისი.

გერმანიის ჯარების უმაღლესი სარდლობა იუწყება:

ქვედა დნესტრზე ტანკების დახმარებით ბოლშევიკების მიერ წარმოებული მრავალი იერიშები მოგერიებულნი იქმნებოდა.

კარპატებსა და ზედა დნესტრს შუა და აგრეთვე ბერეზინას სამხრეთით მდებარე სექტორში სწარმოებენ სუსტი სამხედრო მოქმედება.

ფინეთის ყურში მდებარე კუნძულ ლაჟან საღლის მახლობლად გერმანულ ჩქარმავალ კატერმა ჩასძირა ერთი ანტი-თა სადარაჯო გემი.

სამხრეთ იტალიის ფრონტზე მტერს, ბრძოლაში ახალ, დიდ ძალების შემოყვანით, მოაქვთ ძლიერი იერიშები. გაათრეებულ ბრძოლების შემდეგ, სადაც მტერმა მარტო კასინოს უბანში 50 ტანკი დაჰკარგა, ჩვენმა ნაწილებმა რამოდენიმე კილომეტრით დაიხიეს დასავლეთისკენ წინასწარ გამზადე-

ბულ პოზიციებზე. ერთ - ერთ პარაშუტელთა ასეთლის ობერ ეფრეიტორმა ალბერტ ბრუკნერმა 24 საათის განმავლობაში გაანადგურა 6 ტანკი.

იტალიანურ ჩქარმავალ კატერებმა ანციოს მიდამოებში ჩასძირეს მტრის სადარაჯო გემი. ლივორნოს დასავლეთით გერმანული გემის საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩაიძირა მტრის ერთი ჩქარმავალი კატერი. გასულ ღამეს ინგლისის ცალკეულ თვითმფრინავებმა დაბომბეს ქ. კელნი, 15 მაისს გერმანულ ავიაციის ძლიერ შენაერთებმა მასიური თავდასხმა აწარმოვეს ინგლისის ქ. ბრისტოლზე. გამანადგურებელთა ერთ - ერთ შენაერთის მეთაური, პოლკოვნიკ ვალტერ ეზაუ, ფიურერის მიერ რაინდულ რკინის ჯვრის ორდენით დაჯილდოვებული, საჭაერო ბრძოლაში დაეცა გმირული სიკვდილით. მისი სახით გერმანულ ავიაციამ დაჰკარგა მფრინავთა ერთ-ერთი საუკეთესო მეთაური.

გივი, სამწუხარო ტელეფონაგრაფია, მაგრამ რა გაეწყობა ბუნების მიერ დაწესებული კანონია, ყველანი სიკვდილის შვილები ვართ, წუთიერი ჩვენი ცხოვრება. მონაწილე ვართ თქვენი მწუხარების. მამა თქვენი გარდაიცვალა. აი თქვენი ტელეფონაგრაფია, ეხლავე მამართეთ ასეთის მეთაურს, შეიძლება, რამოდენიმე დღით სახლში გაგიშვან.

ოხ, მამა — ოხ, ოჯახო, ჩემო ობოლო ოჯახო. ამის შემდეგ ჩემს ოჯახს სიმშლილი, და სიღარიბე არ აშორდება კოლმეურნეობაში შრომის დღეებს ვერავინ გამოიმუშავებს.

ოხ, როდის გაივლის ეს ტანჯვის დღეები...

გივი თველცრემლიანი გარბის შტაბისაკენ დეპეშით ხელში. არა! გივი ტყულა ცდილობს, მას არ გაუშვებენ სახლში, წაიბუტბუტა ჩემს გვერდით მდგომმა ჯვარის კაცმა. რატომ? ვეკითხები მას. იმიტომ, ამხანაგო წითელ არმიელო, რომ ჩვენს პოლკში განა ერთი შემთხვევა იყო ასეთი, მაგრამ ყველამ ისე ჩაიარა, ბევრს შეპირდენ, მაგრამ ბოლოს არაფერი გამოვიდა.

მართლაც გივის არ ეღირსა საყვარელი მამის უკანასკნელი წუთით გამოსათხოვარი ნახვა. ეს იმ დროს, როდესაც საბჭო კავშირში სუფევდა მშვიდობიანობა. რაც შეეხება ჯარის კაცის შევებულებას, ეს ხომ მიუწევდომელი ამბავი იყო.

დღეს, როდესაც დიდი გერმანია ომის ქარცეცხლში არის ჩაბმული, ამ დროს, განურჩევლად ეროვნებისა, ყველა ჯარის კაცი იზრუნება შევებულებაში.

გერმანიის ქალაქებში, სოფლებში და ლეგიონერების დასახლებებში სახლებში.

პირველ ათასეთლის მეთაურ უმფრ. ლეიტენანტის ცილერის და ქართველ ლეიტ. გ. ბრძანებით ვიყავი მივლინებული „ვალონგესი“-ს ლეგიონერთა დას. სახლში, საუბრის ჩასატარებლად. სადაც ჩემი შთაბეჭდილება იყო დიდი. ქართულ ლეგიონერების მოვლა პატრონობის საქმეში, დიდ მადლობას გამოსთქვამდენ ქართველი ლეგიონერები დასახლებული სახლის უმფროსი გერმანელი

ქალის და აქრეცხვნი ლდფებელის გეგმითი გულთბილი და უაღრესად მეგობრული დამოკიდებულებისათვის.

ამავე დროს ჩვენი მებრძოლები დიდი მადლობას უძღვნით გერმანიის უმაღლეს სარდლობას.

ლ. კ. კ.

მარეშალ პეტენის

მგზავრობა

მას შემდეგ, რაც მარეშალი პეტენი, საფრანგეთის სახელმწიფოს შეფი, სამხრეთ საფრანგის მახლობლად, მან განიზრახა გეთიდან გადმოსახლდა პარიზს მოკავშირეთა ავიაციის მიერ ტერორისტულ დაბომბვისგან დაზარალებულ რაიონების და ქალაქების დათვალიერება და უსახლკაროდ დარჩენილ მოსახლეობის სიტყვით და ნივთიერად დახმარება. დასახულ გეგინახულა ნორმანდიის დედაქალაქის, მენტალ დაზარალებულ რუანი, სადაც ის 14 მაისს, საფრანგეთის წმინდანის ყანადარკის დღეს, დიდი პატივით მიიღეს ხელისუფლების ადგილობრივ აწრმოქმადგენლებმა და მოსახლეობამ

ქართველ ლეგიონერთა საქუროდღეობა

ქართულ სახლის ახალი მისამართი

პარიზში არსებობს ქართველ ლეგიონერთათვის მზრუნველი ბიურო. ყოველი ლეგიონერი, შევებულებით პარიზში მოვლინებული, უნდა გამოცხადდეს აღნიშნულ სახლში, აქ მიიღებს ყოველგვარ ცნობებსა და დახმარებას. ცნობების და ყოველგვარი რჩევა - დარიგების მიღება შეუძლიათ წერილობითაც ამ მისამართით:

Georgische Betreuungsstelle.
16, rue Eugene Delacroix
PARIS (16)

ტელეფონი: TRO 62-16
მეტრო: Pompe ან Trocadero.

ნებართვა «პა 313».

ნაწუკებები დაუგეგმავ რომანიდან „მსხვირკალი“

(დასაწყისი იხ. მე-2-ე გვ)

სო... „ფულზე გაყიდე სინდისიო“ გაიმეორა პეტრემ ვილაცას ნათქვამი და შეჩერდა.

შუბლზე ცივი ოფლი დაასხა. მარჯვნივ და მარცხნივ გამუდმებით იხედებოდა. ნერწყვი უშრებოდა, თავს ძალას ატანდა — სიჩქარით ევლო, მაგრამ მაინც ზანტი ნაბიჯით მიუთრეოდა.

— „არა, ეს ჩემი სისუსტეა და სილაჩრე, მტირალა ხალხის ნალაპარაკებს ყურს უგდებ, ვითომც და მათი ნათქვამი ყველა ანგარიშს გასაწევი იყვეს“.

ამ დროს ქალის ქვითინი მოესმა. შეჩერდა. შავი ლანდი თანდათან უახლოვდებოდა პეტრეს. პეტრეს გარკვეულად ესმოდა სიტყვები, კედელს მიეყრდნო და ყური დაუგდო. „ჩემო საყვარელო ოთარ, ჩემო ძვირფასო ბიჭო, ტყვილა ჩამოვედი სოფლიდან, ერთი მაინც მენახე უკანასნელად... ვაი

ჩემს დღეს, ვაი ჩემს გაჩენას; ვაი შენს უბედურ დედას, რალა მოასვენებს, რალა დააწყნარებს. დმერთმა დასწყევლოს სამუდამოდ შენი გამცემი, შენი მამა... მშვიდობით ჩემო ბიჭო, სიმწრით გაზრდილო, შენთვის ილოცავს ყოველდღე შენი გაუბედურებული დედა“...

პეტრე ფეხ - აკრეფით გაჰყვა შავ ლანდს, სურდა პატიება ეთხოვა, დაერწმუნებია გამწარებული დედა, რომ მისი შვილი არ დაიღუპებოდა, კვლავ ოჯახს დაუბრუნდებოდა. მაგრამ მუხლები დალატობდა. ენა დაბმობდა. თავი გარეტიანებოდა.

შუბლიდან ოფლი ჩამოსდიოდა. ბარბაცით გაექანა სახლისკენ, ძლივს კიბეზე ავიდა, შევიდა ბნელ ოთახში და საწოლ ლოგინზე მიეგდო...

ლეიპირელი

Handwritten signature or mark at the bottom left.